საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ 27 ივნისს 10:00 სთ-ზე სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“ ორგანიზაცია "საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის" და "სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის" პროექტი (East-West Management Institute, ACCESS) გამართავს კონფერენციას, რომელზეც ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, კერძო სექტორის, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები განიხილავენ 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შემოღების საკითხს, რომელიც საქართველოს ვალდებულად აქვს აღებული საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

კონფერენციაზე „საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაცია“ წარადგენს პრეზენტაციას, თუ როგორ მიმდინარეობს მზაობა მილიონ ერთეულზე მეტი ავტომობილისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ეფექტურად განხორციელებისათვის; ასევე წარმოდგენილ იქნება კვლევის შედეგები, რომელმაც გამოავლინა სხვადასხვა ქალაქში მოსახლეობის დამოკიდებულება ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმართ. ასევე დეტალურად იქნება განხილული გარემოსდაცვითი ასპექტები, ევროკავშირის დირექტივები და ტექნიკური ინსპექტირების ოპტიმალური მოდელი.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სატრანსპორტო სექტორზე მოდის ჰაერის დაბინძურების მიზეზთა მნიშვნელოვანი წილი, რაც იწვევს ჯანდაცვით პრობლემებს, ავტომობილების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შემოღება კი პირდაპირ კავშირშია ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასთან. ამიტომ გთხოვთ, გამოხატოთ მხარდაჭერა საკითხის მიმართ და მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციის გახსნაში.

პატივისცემით,

ეკა ლალიაშვილი

გამგეობის თავმჯდომარე
საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის

თამარ ქაროსანიძე

ACCESS-ის პროექტის ხელმძღვანელი